საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №01-02/30

ქ. ბათუმი 19 - თებერვალი, 2021 წ.

2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში
ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტთათვის
ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–13 მუხლის, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 08 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი"-ს, ,,ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 05 აპრილის №19 დადგენილების, ბსუ–ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2015 წლის 29 სექტემბრის №06 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის'', ,,ბსუ-ს 2020 -2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 06 აგვისტოს №06-01/44 დადგენილების, ,,ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდარის ცვლილების შესახებ' ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 8 დეკემბრის N01-02/152 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. **განისაზღვროს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის** (დასაწყისი - 2021 წლის 9 მარტიდან) **ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლის** (სწავლის სემესტრული საფასურის გადახდის) **ვადები:**

ა) I ეტაპზე - 2021 წლის 1-15 მარტის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 40%;
ბ) II ეტაპზე – 2021 წლის 15-30 აპრილის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 30%;
გ) III ეტაპზე – 2021 წლის 1-15 ივნისის ჩათვლით - სემესტრული სწავლის საფასურის არანაკლებ 30%;

2. სწავლის საფასურის გადახდა იწარმოებს შემდეგ რეკვიზიტებზე: მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა; მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში; ბანკის კოდი - TRESGE22; მიმღების ანგარიში/სახაზინო კოდი - 7 0901 7289 - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასური; გადახდის დანიშნულებაში უნდა მიეთითოს: სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ფაკულტეტი, საგანმანათლებლო პროგრამა და სწავლის წელი (ე.წ. ,,კურსი").
3. გადახდილი სწავლის საფასურის (კრედიტების საფასურის) სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში ავტომატურად ასახვის მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ბანკში საბილინგო სისტემა. გადახდა ასევე შესაძლებელია სწრაფი ჩარიცხვის აპარატებისა და ელექტრონული გადახდების სისტემებიდან.
4. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, ბსუ-ს საინფორმაციო დაფებზე (კანცელარიასთან, ფაკულტეტებზე) და ასევე სტუდენტური პორტალის მეშვეობით ეცნობოს ბსუ-ს სტუდენტებს.
5. ბრძანება დაეგზავნოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და ფაკულტეტებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**